საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სახელით

ეთიკის კომისიის

გადაწყვეტილება

დისციპლინური წარმოების შეწყვეტის თაობაზე

მეხუთე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ია გაბედავა – კოლეგიის თავმჯდომარე

არჩილ ჩოფიკაშვილი – კოლეგიის წევრი

ბესარიონ ბოხაშვილი – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი – მ. რ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 24.01.2019

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 007/19

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ მ. ც.-ის მიმართ /სიითი №/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ მ. ც.-ისთვის ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2019 წლის 24 იანვარს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა მ. რ.-მ და მოითხოვა ადვოკატ მ. ც.-ის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 მ. რ.-ის განმარტებით, ადვოკატმა მ. ც.-მ, ადვოკატ ა. პ.-სთან ერთად, სამოქალაქო საქმეზე ისე დაიცვა მისი ინტერესი, რომ საქმის დასრულების შემდეგ მის მიმართ აღიძრა საქმე ზესტაფონის რაიონულ სამმართველოში, სადაც მოწმის სახით დაიკითხა ადვოკატ ა. პ.-სთან ერთად. აღნიშნულთან დაკავშირებით დამტკიცდა მისი უდანაშაულობა, რის შემდეგაც საქმე შეწყდა.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატები მ. ც. და ა. პ. 2012 წლიდან დაინტერესდნენ მის მიერ მიწოდებული მასალებით და ნებაყოფლობით დათანხმდნენ მასთან თანამშრომლობას,

დაეცვათ მისი ინტერესი სასამართლოში. ადვოკატებმა არ შეადგინეს ხელშეკრულება, რასაც მათ კანონი ავალდებულებდათ.

1.4 მ. რ.-ის განმარტებით, ადვოკატ მ. ც.-ს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოსთვის უსწორობის გასწორების შესახებ არ მიუმართავს და ეს სიცრუეა.

1.5 საჩივრის ავტორის განმარტებით, სამოქალაქო საქმეში, რომელიც ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში ადვოკატმა მ. ც.-მ წარმართა, მოპასუხე მხარე იყო ნ. ტ.. საქმე ეხებოდა სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში, ნ. ტ.-ის დაბადების მოწმობის გაყალბებულ ჩანაწერს. მ. რ.-ის განმარტებით, მან ადვოკატ მ. ც.-ს მიაწოდა ინფორმაცია, თუმცა მან არაფერი გააკეთა, რადგან მოწინააღმდეგე მხარის სასარგებლოდ მოქმედებდა.

1.6 საჩივრის ავტორმა ეთიკის კომისიას დამატებით წარმოუდგინა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: ადვოკატები ნ. ჭ. და ზ. მ. მუშაობდნენ ქ. მცხეთაში. სისხლის სამართლის N320... საქმეზე მათ მიმართ დასრულდა წინასწარი გამოძიება, ისინი ცნობილი იქნენ დამნაშავედ საქ. სსკ-ის 332-ე მუხლის პირველი ნაწილით. ვინაიდან სისხლის სამართლის საქმეში N329... გამომძიებელ ზ. მ.-ის მხრიდან განხორციელდა გამოძიების გაჭიანურება და ბრალდებულის პასუხისმგებლობაში ყოფნის 24 თვიანი ვადის დარღვევა, საგამოძიებო ვადის შეგნებულად გაყვანის განზრახვით, რამაც გამოიწვია სახელმწიფოს და მისი ინტერესების არსებითი დარღვევა, რომელიც მიუთითებს ზ. მ.-ის მხრიდან სამოხელეო დანაშაულის ჩადენის ფაქტზე. დამნაშავე დარჩა დაუსჯელი. საქმეს ზედამხედველობას უწევდა მცხეთა-მთიანეთის ოლქის პროკურორის მოადგილე ნ. ჭ., რომელსაც ევალებოდა შ.ს საგამოძიებო დეპარტამენტის სამხარეო საგამოძიებო სამსახურში სისხლის სამართლის დევნისა და გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობა.

1.7 მ. რ.-ის განმარტებით, 2012 წელს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადვოკატების მონაწილეობით მიმართეს მოპასუხეების ნ. ჭ.-ის და ზ. მ.-ის მიმართ, დავის საგანი: დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება. 2007 წლის 7 დეკემბერს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის განჩინებით და 2008 წლის 25 ივლისის სააღსრულებო ფურცლის გაცემის თანახმად, ნ. ჭ. ცნობილი იქნა დამნაშავედ და დაეკისრა ჯარიმა 15000 (თხუთმეტი ათასი) ლარი, ასევე სამი წლით ჩამოერთვა თანამდებობის დაკავების და საქმიანობის უფლება. ზ. მ. ცნობილი იქნა დამნაშავედ და დაეკისრა ჯარიმა 4000 (ოთხი ათასი) ლარი, სამი წლით ჩამოერთვა თანამდებობის დაკავების და საქმიანობის უფლება.

1.8 საჩივრის ავტორის განმარტებით, ნ. ჭ., რომელიც გადაყენებული იქნა თანამდებობიდან, მუშაობდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის ქ.თბილისის მთავარი სამმართველოს პირველი სამმართველოს უფროსის მოვალეობაზე. ხოლო ზ. მ. გადაყენებული იქნა თბილისის შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის განყოფილების უფროსის მოადგილედ. 2012 წლის 26 სექტემბერს თბილისის საქალაქო სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, ხოლო 2013 წლის 26 თებერვალს მიღებულ იქნა განჩინება სააპელაციო სასამართლოში.

1.9 მ. რ.-ის განმარტებით, 2013 წლის 08 აპრილიდან N26... ცნობით სააღსრულებო ბიუროდან მისთვის ცნობილი გახდა, რომ ზ. მ. თანხა გირაოს სახით 2006 წლის 31 ოქტომბერს გადახდილი 2000 ლარი აღსრულების ბიურომ გადარიცხა სახელმწიფო ბიუჯეტში 2013 წლის 01 თებერვალს.

ე.ი სააპელაციო სასამართლოს განაჩენის მიღებამდე 25 დღით ადრე. 2013 წლის 08 აპრილის ცნობით N26... სააღსრულებო ბიუროდან მისთვის ცნობილი გახდა, რომ ნ. ჭ. დამატებითი სასჯელის სახით დაკისრებული ჯარიმა 2008 წლის 25 ივლისის სააღსრულებო ფურცლის თანახმად სახელმწიფო ბიუჯეტში გადაირიცხა მეტად დაგვიანებით, 2012 წლის 10 ოქტომბერს. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ, 2018 წლის 26 სექტემბერს მ. რ.-ის განმარტებით, ადვოკატი მ. ც.-ისთვის მისი დამოუკიდებელი ჩარევა, მტკიცებულებების მოძიება საზიანო აღმოჩნდა, რადგან გამოაშკარავდა არაკეთილსინდისიერება, რამაც სახელმწიფოსა და მის მიმართ უფლებების დარღვევა გამოიწვია.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატ მ. ც.-ს ეთიკის კომისიის მიერ საჩივარი გაეგზავნა და ჩაბარდა ასოციაციის ერთიან ბაზაში მითითებული მეილის - t.@yahoo.com მეშვეობით 2019 წლის 29 იანვარს. ადვოკატმა მეილის მიღება დაადასტურა 2019 წლის 06 თებერვალს. ადვოკატს საჩივართან დაკავშირებით ახსნა-განმარტება არ წარმოუდგენია.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი მ. ც. არის სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის'' წევრი /სიითი №/, სპეციალიზაცია - საერთო სამართალი.

3.2 მ. რ.-მ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2019 წლის 24 იანვარს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2011-2016 წლებში. ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისთვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა – 5 წელი.

4. შემაჯამებელი დასკვნა:

საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ მ. ც.-ის მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური წარმოება, ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების მე-9 მუხლის ,,ვ" ქვეპუნქტის საფუძველზე.

5. სამართლებრივი შეფასება:

5.1 საჩივრის ავტორის პრეტენზიები გამოიხატა შემდეგში: ადვოკატ მ. ც.-ის არაკვალიფიციურობის გამო, ზესტაფონის რაიონულ სამმართველოში მის მიმართ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე; ადვოკატ მ. ც.-ს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოსთვის უსწორობის გასწორების შესახებ განცხადებით არ მიუმართავს; ადვოკატი მოქმედებდა მ. რ.-ის მოწინააღმდეგე მხარის - ნ. ტ.-ის სასარგებლოდ, რადგან ყურადღება არ მიაქცია სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში ნ. ტ.-ის დაბადების თარიღის გაყალბებულ ჩანაწერს; ადვოკატმა წააგო საქმე, რომელიც ეხებოდა ადვოკატების ნ. ჭ.-ს და ზ. მ.-ის მიერ სამოხელეო დანაშაულის ჩადენას.

5.2 საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ 2018 წლის 12 სექტემბრის გადაწყვეტილებით დისციპლინურ საქმეზე N080/18 ეთიკის კომისიამ შეაფასა მ. რ.-ის პრეტენზიები ადვოკატ მ. ც.-ის მიერ მიერ საქმის არაკვალიფიციურად და არაკეთილსინდიციერად წარმოების თაობაზე, შემდეგ ნაწილში: ადვოკატი არ აძლევდა კვალიფიციურ იურიდიულ რჩევას, ადვოკატმა ის და

მისი შვილი არ ამორიცხა სარჩელში მოპასუხეთა წრიდან, საჩივრის ავტორს მტკიცებულებების მოპოვება უწევდა თავად, ადვოკატი არ აყენებდა შუამდგომლობებს და ყურადღებას არ ამახვილებდა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებებზე, კონკრეტულად: ადვოკატმა არ გაასაჩივრა ნ. ტ.-ისა და მისი შვილის, ბ. კ.-ის რეგისტრაცია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში, ამის გამო ნ. ტ.-მ არ გადაიხადა სახელმწიფო ბაჟის თანხა; ადვოკატმა ყურადღება არ მიაქცია იმ ფაქტს, რომ ნ. ტ.მ №2/XX–2014 საქმეში მტკიცებულებად წარადგინა დაბადების მოწმობა, რომლის მიხედვით ნ. ტ. დაბადებულია 1943 წლის 10 მარტს. საჩივრის ავტორის განმარტებით, მან ადვოკატ მ. ც.-ს წარუდგინა სამკვიდრო მოწმობა, რომლის მიხედვით ნ. ტ. დაბადებულია 1941 წლის 01 მარტს. საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ ნ. ტ. ვერ დაიბადებოდა 1941 წლის 01 მარტს, რადგან მისი მეუღლე როლანდი ტოფაძე დაბადებული იყო 1940 წლის 20 სექტემბერს; ადვოკატის უყურადღებობის გამო, რომ 2016 წლის 15 აგვისტოს ნ. ტ.-ის მიერ წარდგენილი სარჩელის საფუძველზე სასამართლო გადაწყვეტილებით საჯარო რეესტრმა ბათილად ცნო მ. რ.-ის 2016 წლის 10 აგვისტოს ვ. რ.-სთან გაფორმებული ჩუქების ხელშეკრულება. საჩივრის ავტორის მიერ ეთიკის კომისიისათვის წარმოდგენილი ახსნა-განმარტებების შეფასების, მტკიცებულებათა გამოკვლევის შედეგად კოლეგიამ მიიჩნია, რომ არ დადასტურდა ადვოკატ მ. ც.-ის მიერ საქმის არაკვალიფიციურად და არაკეთილსინდიციერად წარმართვის ფაქტი და მიიღო გადაწყვეტილება, ადვოკატ მ. ც.-ის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე.

5.3 საჩივრის ავტორი 2019 წლის 24 იანვარს ეთიკის კომისიისათვის წარმოდგენილ განცხადებაში ძირითად პრეტენზიად ისევ მიუთითებს ადვოკატის არაკვალიფიციურობაზე და აქვს პრეტენზია ადვოკატის იმ მოქმედებებზე, რომლებიც უკვე შეაფასა ეთიკის კომისიამ. კოლეგიას მიაჩნია, რომ არ გამოიკვეთა ახალი გარემოება, რომელიც წინა დისციპლინური სამართალწარმოებისას არ ყოფილა გამოკვლეული. კომისიისათვის განცხადებით მეორედ მომართვის შემთხვევაში, მ. რ.-ს არ წარმოუდგენია განსხვავებული და უფრო სარწმუნო მტკიცებულებები, რომლის საფუძველზეც კოლეგია საქმესთან დაკავშირებით განსხვავებულ გადაწყვეტილებას მიიღებდა.

5.4 საჩივრის ავტორი უთითებს, რომ ადვოკატმა წააგო მისი მეოთხე საქმეც, თუმცა ამ ფაქტის დასადასტურებლად წარმოდგენილი არ არის რაიმე მტკიცებულება. აღნიშნულიდან გამომდინარე, მხოლოდ ეს მითითება ვერ გახდება ადვოკატის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი და არ წარმოშობს საქმის ხელახალი განხილვის აუცილებლობას.

5.5 კოლეგია განმარტავს, რომ ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების მე-9 მუხლის ,,ვ" ქვეპუნქტის თანახმად: ,,ეთიკის კომისიის მიერ საჩივარზე წარმოება წყდება და საჩივარი არსებითად არ განიხილება, თუ არსებობს ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება იმავე მხარეებს შორის იმავე საკითხზე".

5.6 მ. რ.-ის მიერ 2018 წლის 26 ივნისს ზემოთ მითითებული პრეტენზიები უკვე აქვს შეფასებული ეთიკის კომისიას 2018 წლის 12 ნოემბრის გადაწყვეტილებაში. შესაბამისად, ამ პრეტენზიათა ფარგლებში არსებობს ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება იმავე მხარეებს შორის და დებულების თანახმად, იგივე საკითხების თავიდან განხილვა, ვერ მოხდება, თუ არ არის წარმოდგენილი ახალი მტკიცებულება, რომლის გათვალისწინებით გამართლებულია განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება. ასეთი მტკიცებულება საქმეში წარმოდგენილი არ არის.

5.7 კოლეგიის შეფასებით, ეთიკის კომისიის რესურსის არაგონივრულ ხარჯვას წარმოადგენს ადვოკატის მიმართ საჩივრის განხილვის შემდეგ ისეთი პრეტენზიებით განმეორებითი საჩივრით მომართვა, რაც უკავშირდება ეთიკის კომისიის მიერ შეფასებულ ფაქტობრივ გარემოებებს ან ახალი საჩივრით ისეთ გარემოებებზე დავა, რაც საჩივრის ავტორისთვის ცნობილი იყო საჩივრის პირველად შემოტანისას. საჩივარი უნდა იყოს მომზადებული, დასაბუთებული და საჩივრის შემოტანამდე მხარე უნდა ჩამოყალიბდეს რა გარემოებების გამოკვლევა სურს ეთიკის კომისიაში. კომისიისათვის საჩივარში არასწორი ინფორმაციის მიწოდება ან საჩივრის განმეორებითი შემოტანა იმ საფუძვლით, რომ მხარეს სურს კომისიამ ხელახლა შეაფასოს ის გარემოებები, რასაც ერთხელ უკვე დაეყრდნო კომისია გადაწყვეტილების მიღებისას, გაუმართლებელია.

5.8 საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების“ მე-9 მუხლის ,,ვ“ ქვეპუნქტით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №007/19 ადვოკატ მ. ც.-ის მიმართ /სიითი №/ შეწყდეს დისციპლინური წარმოება.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოთ მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ია გაბედავა/

კოლეგიის წევრი: /არჩილ ჩოფიკაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ზესარიონ ბოხაშვილი/